ბოლო წუთებში

სამხედრო-საჰაერო ძალთა (მოსკოვის) ფეხბურთელთა გუნდი მხოლოდ გასულ წელს გამოჩნდა სსრ კავშირის პირველობისათვის ბრძოლის ასპარეზზე. გუნდმა წარმატებით ჩაატარა ზონალური შეჯიბრება, მოიპოვა გამარჯვება და გადაყვანილ იქნა პირველ ჯგუფში.

9 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის "დინამოს" სტადიონზე სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდი პირველად შეხვდა თბილისის "დინამოს". თამაში თბილისელებმა დაიწყეს. უკვე პირველ წუთებიდანვე სტუმრების მეკარეს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ მოსკოველებმა მალე თამაში თბილსელთა საჯარიმო მოედნისკენ გადაიტანეს და მათ კარზე რამდენიმე სახიფათო იერიშიც მიიტანეს. დინამოელებმა იერიშს იერიშით უპასუხეს. პაიჭაძემ, რომელსაც კვალდაკვალ დასდევდა მოსკოველთა ორი მოთამაშე, რამდენჯერმე გაარღვია მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში თბილისელთა ღიად დარჩენილი კარი მოულოდნელად გადარჩა აშკარა გოლისაგან. შემდეგ კიდევ რამდენიმე იერიში მოიგერიეს დინამოელთა დამცველებმა და მთელი გუნდი გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა.

თბილისელებმა უფრო გააძლიერეს დაწოლა. ბურთი გამუდმებით მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ტრიალებდა, მაგრამ მოსკოველთა მეკარის კუდრიავცევის შესანიშნავმა თამაშმა რა მისცა მათ ანგარიშის გახსნის საშუალება. მატჩის დამთავრებას 15 წუთიღა აკლდა, როდესაც გ. ჯეჯელავამ ღოღობერიძისაგან მიიღო ბურთი, მაგრამ მცველი ჩაპლინსკი მას უხეშად დაეტაკა, რისთვისაც მსაჯმა დანიშნა თავისუფალი საჯარიმო დარტყმა. თბილისელმა პანიუკოვმა ბურთი პირდაპირ სტუმრების კარში გაგზავნა. მეკარემ უკუაგდო იგი. ბურთი ისევ გ. ჯეჯელავამ ჩაიგდო, გადასცა პაიჭაძეს, რომელმაც არ დააყოვნა და ბადეში გაახვია.

1:0! ასე დამთავრდა თბილისის "დინამოსა" და სამხედრო-საჰაერო ძალთა ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 14 მაისი, 1947 წ.